საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 84 04/12/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგეულბაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის"

63–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/44 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" დანართი #2 -ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2. საპრივატიზაციო გეგმას დაემატოს შემდეგი მოძრავი და უძრავი ქონება:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი მარელისში 60 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.15.38.254) ღირებულებით 620 (ექვსასოცი) ლარი.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში მდებარე ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა (ს/კ 36.04.34.020) ღირებულებით 6000 (ექვსიათასი) ლარი.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მდებარე 33 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.15.38.229) ღირებულებით 275 (ორასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე